ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი



ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორიაზე, (ნაკვეთი 03/003) ს/კ: 01.18.03.003.021; არსებულ შენობის პირველი სართულის ცენტრალურ და მარჯვენა ნაწილში ,,Dunkin''-ის ქსელის ღია კაფის მოწყობა

თბილისი
2022 წ.

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორიაზე, (ნაკვეთი 03/003)
ს/კ: 01.18.03.003.021; არსებულ შენობის პირველი სართულის ცენტრალურ და მარჯვენა ნაწილში ,,Dunkin''-ის ქსელის ღია კაფის მოწყობა

დამკვეთი: შპს ,,კიოსკ ჯორჯია'' ს/კ 405404003

დირექტორი ვ. მახვილაძე

პრ. მთ. არქიტ. ი. ლაზარიაშვილი

შეადგინა ნ. მურჯიკნელი

თბილისი
2022 წ.

საერთო ნაწილი

მშენებლობის ორგანიზების პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო:

- დავალება მოპ-ის შედგენაზე;

- არქიტექტურულ-კონსტრუქციული საპროექტო დოკუმენტაცია;

- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;

- მოთხოვნილებები მოპ-ის შედგენაზე თანახმად მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მარტის დადგენილება №255, მუხლი 18 ,,მშენებლობის ორგანიზების პროექტი'' და მუხლი 20 ,,მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები''.

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ;

- ამავე დროს მუნიციპალიტეტის არქიტექტორის სამსახური ავალდებულებს დამკვეთს სამშენებლო სამუშაოთა დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სხვა საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტიც.

1. განმარტებითი ბარათი

1.1. მშენებლობის ორგანიზების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე, (ნაკვეთი 03/003), შპს ,,ოფის ცენტრის'' არსებული შენობის პირველი სართულის ცენტრალურ და მარჯვენა ნაწილში „Dunkin''-ის ქსელის ღია კაფის მოსაწყობი სამუშაოების განხორციელების ორგანიზების დაგეგმვას რიგითობისა და ეტაპების მიხედვით. აღნიშნულ შენობაში გათვალისწინებულია სწარაფი კვების ობიექტის ,,დანკინ''-ის განთავსება.

1.2. საპროექტო შენობა განთავსებულია დედაენის პარკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1095,00 კვ.მ-ს. დედაენის პარკის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს.კ. 01.18.03.003.021) მდებარე შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას სარდაფით, რომელიც გეგმაში რთული მოხაზულობისაა. სარდაფის სართული 90 სმ-ით მაღლაა არსებული რელიეფის ნიშნულიდან და აღნიშნული ფართი ნათდება და ნიავდება ზეძირკვლის კედლებში არსებული ფანჯრებით. შენობაში შესვლა ხორციელდება მთავარი ფასადის მხარეს მდებარე კიბით და უკანა ფასადზე (მდ. მტკვრის სანაპიროს მხარეს) არსებული ორი კიბით. სამივე კიბე შენობის ფართის გარეთაა განთავსებული და არ არის გადახურული. მთავარი ფასადის მხრიდან შენობაში შესასვლელი კიბის ორივე მხარე ერთსართულიანი ნაკვეთურებია, რომელთა გადახურვა ბრტყელია და მათზე ღია ტერასებია მოწყობილი. მეორე სართულზე ასვლა ხდება რკინაბეტონის ორმარშიანი კიბით, რომელიც მთავარი ფასადიდან მარცხენა მხარეს შენობის შიდა ფართშია განთავსებული.

1.3. საექსპერტო დასკვნით არსებული ორსართულიან შენობის (სარდაფით) დეტალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შენობა არ

განიცდის არათანაბარ ჯდენებს, ხოლო მის მზიდ შემომზღუდავ და თვითმზიდ მონოლითური რკინაბეტონის და წვრილი ბლოკის კედლებში, ასევე სართულშუა გადახურვის და დახურვის ფილებში არ გამოვლენილა რაიმე სახის დეფორმაციები და დაზიანებები.

1.4. საპროექტო შენობა მთავარი და გვერდის ფასადებით ბაღში იხსნება, ხოლო ზურგის ფასადით მტკვრისკენ. საპროექტო შენობასა და მტკვრის ჯებირს შორის ვიწრო საფეხმვლო პასაჟია. შენობა წარმოადგენს მარტივი კუბური ფორმის ბირთვს, რომელიც ორსართულიანია, გარშემო კი შედარებით დაბალი მინაშენი შემოუყვება, რომელიც სივრცეში დანაწევრებულ მოცულობებს ქმნის. მთავარი ფასადი სიმეტრიულია, რომელსაც შუა ნაწილის ორსავ მხარეს განლაგებული წახნაგოვანი მოცულობები ქმნის. მარცხენა მინაშენში კვების ობიექტია, მარჯვენა ამჟამად უფუნქციოა – საპროექტო წინადადებით განზრახულია მისი ადაპტაცია და მასში ,,Dunkin''-ის ქსელის კაფის მოწყობა.

1.5. პროექტის არქიტექტურული ნაწილის თანახმად შენობის მთავარი ფასადის მხარეს, მისი გაბარიტის გარეთ არსებულ კიბის საფეხურების ნაწილზე ეწყობა ღია (გადაუხურავი) ფართი, რომელიც შემოზღუდულია შუშის მოაჯირით. იატაკის ნიშნულის ქვეშ ფართის პერიმეტრზე ეწყობა ფილით მოპირკეტება, რომელის შეთავსებულია კიბის საფეხურების ფერთან. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის თანახმად აღნიშნული ღია ფართი განხორციელებულია მსუბუქი, ლითონის ნაგლინი პროფილებით (60x60x4 კვეთის მილკვადრატები) შესრულებული სივრცული კონსტრუქციით. იატაკის და მოპირკეთების ფილების სამაგრი ჩაროები ასევე მილკვადრატებითაა განხორციელებული კვეთით - 40x40x2 (იხ.კონსტრუქციული პროექტი).

1.6. მსუბუქი მეტალის კონსტრუქციის მონტაჟს დროს შენობასთან არსებული კიბის ნაწილში არ ხდება არსებული კიბის დემონტაჟი,

არსებულ კიბეზე დამონტაჟდება მეტალის კონსტრუქცია რომელიც დაიფარება ხის დაფით და მოპირკეთდება ფილით, ანალოგიური ვიზუალის და ფერის რაც არის დღეს იქ არსებული ფილა, გარედან შეიფუთება მუქი ნაცრისფერუი "ალუკაბონდის" ფილებით და მოეწყობა შუშის მოაჯირი, ასევე ფასადის ამ ნაწილზე ხის პანელებით მოპირკეთება, შესასვლელი სივრცის თავზე არსებულ მეტალის მილკვადრატით შეკრულ გადახურვაზე დაეფარება შავი ფერის ტენტი, ბრენდის ლოგოთი, ასევე განვათავსოთ მანათობელი სარეკლამო წარწერა. შიდა სივრცეში დღეს დღეობით არის გიფსო კარდონის არასრული კედლები რომლებსაც არ გააჩნია არანაირი კონსტრუქციული დატვირთვა. შეიცვლება შენობაში ცენტრალური შესასვლელი, კერძოდ ფასადის მარცხენა მხარეს დღეს დალუქულია კარები, გაიხსნება ეს კარი და იქნება მთავარი შესასვლილი ხოლო ფასადის ცენტრში არსებული კარი დაილუქება.

საპროექტო ნაწილის ძირითადი ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- მიწის ნაკვეთის ფართობი - 1095,00 კვ.მ.
- შენობის საერთო ფართობი - 1370,00 კვ.მ
- საპროექტო ნაწილის ფართი - 49,50 მ²;
- სამშენებლო მოცულობა - 131.37 (კუბ.მ)
- 0.00 ნიშნულის ზევით - 128,44 (კუბ.მ)
- 0.00 ნიშნულის ქვევით - 3,13 (კუბ.მ)
- შენობა პირველი სართულის სიმაღლე: - 3,80 მ.

1.7. სამუშაოთა წარმოებისა და ორგანიზაციის პროექტის შესადგენ ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს სნ და წ 3.01.01.-85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია", რომლის დებულებებიც განსაზღვრავენ მის შემადგენლობასა და შინაარს. უპირველს ყოვლისა ვითვლით შესასრულებელ სამუშაოების რაოდენობებსა და მოცულობებს.

ვსარგებლობთ არქიტექ-ტურულ ალბომში ჩაკრული სამუშაოების ნუსხით, ციფრობრივ მონაცემებს ვაჯამებთ და ვიყენებთ შენაკრებ მონაცემებს.

1.8. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

1.9. სამუშაოთა განხორციელების გეგმიური ხანგძლივობა განსაზღვრულია 2 თვის პერიოდით (იხ. კალენდარული გრაფიკი). სამუშაოთა დასრულება გეგმიურ ვადებში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ზომიერმა და რბილმა კლიმატურმა პირობებმაც.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

I რიგის სამუშაოები:

I ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები

1. **მოსამზადებელი სამუშაოები:** მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ნებართვით მითითებული საჭირო შეთანხმებების და ნებართვების განხორციელება, ასევე უნდა განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში საინჟინრო ქსელის ჩაჭრა-გადალაგება პროექტების და ნებართვების მიხედვით, შესაბამისი საექსპლუტაციო სამსახურების ჩართულობით. შემდეგ უნდა განხორციელდეს დროებითი საინჟინრო ქსელების მოწყობა.

ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს:

1.1 დროებითი სათავსების დაყენება საკადასტრო წითელი ხაზების ფარგლებში. ტერიტორიას გააჩნია საკმარისო ფართები საპრარაბო-ინვენტარული სათავსის და ღია სასაწყობო მოედნის განსათავსებლად, რეკომენდებულია საპრარაბო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსის მოწყობა საპროექტო შენობის პირველ სართულზე თავისუფალ ნაწილში.

1.2. აგრეთვე უნდა განხორციელდეს დროებითი ღობის მოწყობა საპროექტო ნაწილის გარშემო – ხის, ლითონის ფურცლების, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვევაში შეღებილი, ზედ საინფორმაციო ბანერით.

1.3. დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობის შემდეგ უნდა წარიმართოს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც უნდა განხორციელდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით.

II ეტაპი - პროექტით განსახორციელებელი სამოშაოები, რომელიც ითვალისწინებს:

- **შიდა სივრცეში არსებული გიფსო კარდონის არასრული კედლების (ტიხრების) მოხსანას, მორომლებსაც არ გააჩნია არანაირი კონსტრუქციული დატვირთვა;**
- **შეიცვლება შენობაში ცენტრალური შესასვლელი, კერძოდ ფასადის მარცხენა მხარეს დალუქულია კარები, რომელიც გაიხსნება და იქნება მთავარი შესასვლილი, ხოლო ფასადის ცენტრში არსებული კარი დაილუქება.**

1.4. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა წყლით და ელ. ენერგიით უნდა მოხდეს არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენით მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

1.5. მშენებლობის პროცესში, სამშენებლო სატრანსპორტო მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემისა და ასევე მათი მითითებებისა და ნორმების მიხედვით.

II რიგის სამუშაოები:

III ეტაპი - ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0,00 ნიშნულიდან +3,42 მ. ნიშნულამდე.

3.1. სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტით და კალენდარული გეგმით არსებულ შენობაზე გათვალისწინებულია სამუშაოთა წარმოება ნაკადური მეთოდებით, რომელიც გულისხმობს სამშენებლო ბრიგადების გადაადგილებას შენობის ცალკეულ მონაკვეთებზე, ცხადია სამუშაოთა ფართო ფრონტით წარმოების დროს აუცილებელია სამუშაოთა შორის ტექნოლოგიური ინტერვალების დაცვა. სამუშაოთა ფართო ფრონტი საშუალებას იძლევა მუშახელის პროფესიონალური მოცდენა არ მოხდეს სხვადასხვა სამუშაო უბნებზე მათი გადაადგილების გამო, რისი უზრუნველყოფაც ცხადია სამუშაოთა მწარმოებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული.

მოსამზადებელია სამუშაოთა დასრულების შემდეგ განსახორციელებელი სამუშოები, რომელიც ითვალისწინებს:

- **შიდა სივრცეში პროექტით გათვალისწინებული მსუბუქი კონსტრუქციებით ტიხრების მოწყობას; შიდა სარემონტო სამუშოები (შელესვა, მოპირკეთბა, შეღებვა და ა.შ.);**
- **მსუბუქი მეტალის კონსტრუქციის მონტაჟს შენობასთან არსებული კიბის ნაწილში;**
- **არსებულ კიბეზე დამონტაჟებული მეტალის კონსტრუქციების მოპირკეთდება და შეფუთვა მუქი ნაცრისფერი "ალუკაბონდის"**

ფილებით, აგრეთვე შუშის მოაჯირის მოწყობა, ხოლო ფასადის ამ ნაწილზე ხის პანელებით მოპირკეთება;

3.2. ცალკეული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობითა და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

3.3. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარ-უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით;

IV ეტაპი - გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა,

4.1. ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის დასრულება შემდეგ უნდა შესასვლელი სივრცის თავზე არსებულ მეტალის მილკვადრატით შეკრულ გადახურვაზე დაფარებოს შავი ფერის ტენტის ბრენდის ლოგოთი, ასევე მოხდეს მანათობელი სარეკლამო წარწერის განვთავსება.

4.2. სამუშოების მიმდევრობითი მეთოდებით წარმართვის თვალსაზრისით ტექნოლოგიურად შესაძლებელია სხვა სამუშაოთა განშლაც, როგორიცაა საბათქაშო-მოსაპირკეთებელი, იატაკის მოწყობა, კარ-ფანჯრების და ვიტრაჟების ჩაყენება, სამღებრო, პარალელურად უნდა წარიმართოს სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოები. სუსტი დენების მონტაჟი, ხანძარუსაფრთხოების ქსელები და ა.შ.

V ეტაპი - მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშოები.

5.1. ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა გარეშე.

5.2. აგრეთვე ბოლო თვეებში უნდა დაიგეგმოს მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე, ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მძლავრი საწარმოო ბაზა და ამასთანავე უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი თანრიგის მუშებითა და შესაბამისი ინჟინერ ტექნიკური პერსონალით.

სამშენებლო ობიექტი ყოველდღიურად უნდა კონსტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინერის სპეციალისტების ქვეშ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებია და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

6. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური სასუალებებით. მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალ
1	2	3	4
1	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის შემოსატანად	სხვადა-სხვა	1
2	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ	1
3	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ	1
4	ლითონის სახარაჩო სექციები 10 მ^2 ფართობისათვის	კომპ	1
5	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპ	2

6.2. რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

7. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესა-ბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი ,,მშენებლობის უსაფრთხოების წესები'' (დამტკიცებული საქართ-ველოს მთავრობის 27.05.2014 წ. №361 დადგენილებით.) და სნ და წ. ნორ-მატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

7.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.2. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

7.3. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

7.4. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

7.5. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

7.6. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

7.7. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

7.8. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.9. სამშენებლო მოწყობილობათა (საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) თვითნებურად ჩართვა ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს

სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

7.10. მანქანა მექანიზ-მების მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახ-ლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7.11. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

7.12. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილების „სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ" აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- მუშები უნდა ატარებდნენ ჩაფხუტებს და ჩაცმულები იყვნენ ბრეზენტოვან სამუშაო სამოსში. სამშენებლო პროცესებში დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალსაც თავზე უნდა ეხუროთ ჩაფხუტები.
- მოწყობილი უნდა იყოს სახანძრო სტენდი ცეცხლ-ჩამქრობებით და საჭირო ხელის იარაღებით.
- მავნე და ფეთქებადსაშიში მასალები ობიექტზე უნდა ინახებოდეს სპეციალურად დაცულ სათავსოში.

7.13. ასევე სამშენებლო მოედანზეც უნდა მოეწყოს გამაბრთხილებელი ნიშნები და დაცული უნდა იყოს ნორმატივები მომუშავეთა ყოფნის, გადაადგილების გათვალისწინებით. სიმაღლეზე მუშაობისას შენობის მოშორებით იდგმება და იჭიმება ლენტი და ა.შ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილებისა №361 „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ.

8. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

8.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

8.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვირს გაბნევა სელიტებულ ზონაში.

8.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ხსნარ-მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.4. ასევე მიზან-შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. სამშენებლო სამუშოთა წარმოების პერიოდში ობიექტზე უნდა დაიდგას ბიო ტუალეტი.

8.5. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

სარეაბილიტაციო სამუშაოთა გენგეგმა



ექსპლიკაცია: **1**. დედაენის პარკის ტერიტორიაზე ნაკვეთი **(ნაკვეთი 03/003); 2.** საპროექტო შენობა #1/2; **3.** მსუბუქი კონსტრუქციებით მოწყობილი დროებითი სამშენებლო ღობე; **4**. საპროექტო ნაწილის შიდა სივრცე; **5**. საპროექტო ნაწილის გარე სივრცე სადაც გათვალისწინებულია კიბის საფეხურებზე მსუბუქი მეტალის კონსტრუქციების მოწყობა; **6.** სამშენებლო ნაგვისა და მასალა-ნაკეთობათა დროებით განსათავსებელი ღია სასაწყობო მოედანი; **7.**საჭიროების მიხედვით სატვირთო ავტომანქანის, თვითმცლელის და სხვათა დგომის ადგილი; სამუშაოთა წარმოების პერიოდში (ობიექტზე შესვლა შესაძლებელია ჯ. კუდიერის ქუჩიდან);

*საყოფაცხოვრებო და საპრარაბო დანიშნულების სათავსი განათავსდეს საპროექტო შენობის თავისუფალ სივრცეში; იქვე გაითვალისწინეთ დახურული საწყობები;

ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორიაზე, (ნაკვეთი 03/003) ს/კ: 01.18.03.003.021; არსებულ შენობის პირველი სართულის ცენტრალურ და მარჯვენა ნაწილში ,,Dunkin''-ის ქსელის ღია კაფის მოწყობის სამუშაოთა განხორციელების შენაკრები

კალენდარული გრაფიკი

სამუშაოთა ხანგრძლივობა 1 თვე ანუ 30 კალენდარული დღე

№№	სამუშაოთა განხორციელების ეტაპები	დღეები	თვეები და კალენდარული დღეები														
			I თვე														
			2	4	6	8	10	12	14	16	18	20	22	24	26	28	30
	I რიგის სამუშაოები																
I	მოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო მოედნის მოწესრიგება სამეურნეო სათავსების მოწყობა;	2	2														
II	შიდა სივრცეში პროექტით გათვალისწინებული თაბაშირ-მუყაოს ფილებით მოწყობილი ტიხრების დაშლა	4		4													
	II რიგის სამუშაოები																
III	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა --0,90 მ. ნიშნულიდან +3,80 მ. ნიშნულამდე.	10						10									
IV	შესასვლელი სივრცის თავზე გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა.	8									8						
	საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშოები.	8												8			
V	კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება, ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები.	4														10	
	სამშენებლო ნაგვის გატანა	30	საჭიროების მიხედვით														

მითითებები: **1**. წარმოდგენილი კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია სამუშოთა დაწყება-დასრულება, 1 თვის პერიოდში. თვეში 30 სამუშაო დღეა.

2. კალენდარული გრაფიკის პუნქტებში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას, მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნებების გათვალისწინებით

3. სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს შრომის, ელექტრო, ხანძარ-უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით.

შეადგინა ინჟ: ნ. მურჯიკნელი